

„უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტების წესი - გამოწვევა სასამართლო
ხელისუფლების დამოუკიდებლობისთვის“

მარიამ ხარებაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლაში საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ერემაძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ხარებაშვილი

05.07.2021

აბსტრაქტი

სასამართლო ხელისუფლება მართლმსაჯულების განხორციელების ერთადერთი გზაა, რომელიც უზრუნველყოფს დარღვეული უფლების საპასუხოდ ბალანსის მიღწევასა და სამართლიანობის აღდგენას. უზენაეს სასამართლოს კი, სასამართლო სისტემის სამსაფეხურიან განზომილებაში, განსაკუთრებული როლი აკისრია სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, ყურადღება იქნას გამახვილებული უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა განმწესების წესსა და პროცედურებზე, გაანალიზდეს ამ მხრივ არსებული გამოწვევები, საკანონმდებლო ხარვეზები, გამოიკვეთოს სახელმწიფოს მიდგომები და ის სტანდარტები, რომლებსაც იგი ეყრდნობა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევისა და დამტკიცების მიზნით.

ნაშრომში გამოყენებულია აღწერითი, ისტორიულ-შედარებითი, შედარებით-სამართლებრივი, ისტორიულ-სამართლებრივი, დოქტრინალური, ანალიტიკური, აგრეთვე შეფასებითი კვლევის მეთოდები.

კვლევამ აჩვენა, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობა, არ უზრუნველყოფს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის წესის ობიექტურობას და არ ქმნის დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლო სისტემას. საკანონმდებლო რეგულირება გადაწონა ცალკეულ ჯგუფთა ინტერესებმა. კანონმდებლობის დახვეწის იდეა კი „ცვლილებების იმიტაციას“ წარმოადგენს და იგი რეალურ მიზანს - ობიექტური სასამართლო სისტემის შექმნას არ მოიაზრებს, რაც ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპს უგულვებელყოფს და მართლმსაჯულების სისტემას ჩრდილს აყენებს, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე ნეგატიურ შედეგს წარმოშობს და სასამართლოსადმი ნდობა ნულოვან ნიშნულს უტოლდება.

ძირითადი სამიზნო სიტყვები: სასამართლო ხელისუფლება, უზენაესი სასამართლო, მოსამართლე, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, პარლამენტი.

Abstract

The judiciary is the only way to administer justice by balancing and restoring justice in response to a violated human right. The Supreme Court, in the three-tiered dimension of the judiciary, plays a special role in ensuring the rule of law.

The goal of the master's thesis is to focus on the rules and procedures of the appointment of Supreme Court judges, to analyze the existing problems in this regard, gaps in the legislation, outline the approaches of the state and the standards on which it relies in the selection and appointment of judges of the Supreme Court.

The thesis uses descriptive, historical-comparative, comparative-legal, historical-legal, doctrinal, analytical, and evaluative research methods.

The research has shown that the current legislation does not ensure the objectivity of the rules for the selection of judges of the Supreme Court and does not create an independent and impartial judicial system. The interests of individual groups outweighed legislative regulations.

The legislative amendments aimed at real improvement of the system, unfortunately were a “mere imitation” of change and had no real intent of creating an objective judicial system. In the reality the principle of separation of powers was ignored and overshadowed in the Justice system, which had a negative impact on the human rights and freedoms. As a result it had an enormous impact on the reputation of the common courts and the trust of the judicial system has been gradually reduced.

Key words: Judiciary, Supreme Court, Judge, High council of justice, Parliament.